

## ნასახელარ ზმნათა ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე ენობრივი სიტუაცია

ახალ ლექსიკურ ერთეულთა შესაქმნელად აფიქსური სიტყვა-წარმოება ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ითვლება. იგი ორი საენათმეცნიერო დისციპლინის – მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის შესასწავლი ობიექტია. მორფოლოგია შეისწავლის დერივაციული აფიქსის სტრუქტურას, გენეზისს, ფუმეებთან შეხამების წესებს, ხოლო ნაწარმოებ სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკური დაჯგუფება ლექსიკოლოგიის ამოცანაა.

### 1. ნასახელარ ზმნათა ფორმაწარმოების ისტორიისათვის

სახელისაგან (და, საერთოდ, არაზმნური ძირებისაგან) ზმნური ფორმების შექმნა ქართული სიტყვაწარმოების ერთი ნიშანდობლივი თვისებაა.

ნასახელარ ზმნათა გენეზისისა და ფორმაწარმოების საკითხები საფუძვლიანად არის შესწავლილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნასახელარი ზმნა მაზმნავებელ აფიქსთა მეშვეობით სახელისაგან მიღებული ფორმა: წითელი – აწითლებს, სახლი – სახლდება. 1919 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აკაკი შანიძე წერს: „დ-ონი მაწარმოებელია არა ვნებითისა, არამედ ნასახელარი ზმნებისა: დიდ-ი – გა-დიდ-დ-ა, ცოფ-ი – გა-ცოფ-დ-ა... ძველ ქართულში **დ**-ს გარდა არის **ნ-ც. დ** აწარმოებს ზმნებს მხოლოდ მაშინ, როცა სახელის ფუმე ნარნარა (ნ, რ, ლ) ბგერებით არის დაბოლოებული, დანარჩენ შემთხვევებში **ნ** აწარმოებს: ლაღ-ი – გან-ლაღ-**ნ**-ა, ჭაბუკ-ი – გან-ჭაბუკ-**ნ**-ა... შემდეგ **დ** იკაფავს გზას... ახალ ქართულში ყველგან **დ** არის გაბატონებული“ [შანიძე 1981: 39-48].

ვარლამ თოფურიას მოსაზრების მიხედვით, უფრო ძველად ნასახელარ ზმნათაგან ვნებითის საწარმოებლად **ენ** და **ედ** სუფიქსები იყო ენაში გამოყენებული. **ედ** სუფიქსის ხმარების გადმონაშთები

დღემდეა შემონახული, როგორც, მაგალითად: დავჯ-ედ, მოვკუ-ედ... ეს ზმნები წარმოშობით ვნებითებია. **ედ**-ს შემდეგ **ე** ჩამოსცილ-და და მხოლოდ **დ** დარჩა... ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ისინი სხვადასხვა დიალექტში იხმარებოდნენ. ძველმა ქართულმა ორივე შემოგინახა, ხოლო შემდეგ ხანგრძლივ ჭიდილში **დ**-მ გაიმარჯვა და ნასახელარ ზმნებში ყველგან ის გაბატონდა [თოფურია 1942: 965-972].

ივანე და ვახტანგ იმნაიშვილები ნაშრომში „ზმნა ძველ ქართულში“ სავსებით შესაძლებლად თვლიან, რომ **დ** (← **ედ**) სუფიქსის სიძველის დაშვება შესაძლებელიცაა და საჭიროც. ნაკლები გამართლება ექნება **დ**-ს მეორეულად მიჩნევას და მის თითქმის ჩვენ თვალიწინ გაჩენას. სავსებით ნორმალური და მართებულია, რომ ისინი სხვადასხვა დიალექტის თუ დიალექტური წრის კუთვნილებად იქნეს გამოცხადებული. ამნაირი შემთხვევები ძველ ქართულში სხვაც ბევრი გვაქვს... მაგ. მესამე სუბიექტური პირის ნიშნების გახსენება იქნებოდა საკმარისი: დაშავ-**ნ**-ა – დაშავ-**დ**-ა, დავდუმ-**ნ**-ები – დავდუმ-**დ**-ები, დადამ-**ნ**-ა – შეულამ-**დ**-ა... შემდეგ **დ**-მ დაიწყო გაბატონება: გაჰლაღ-**დ**-ეთ, განვახლ-**დ**-ი, აღყუავილ-**დ**-ა...[ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი 1996: 353].

ნასახელარ ზმნათა წარმოების ძირითადი მოდელები წარმოდგენილია ბესარიონ ჯორბენაძის ნაშრომში: ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში [ჯორბენაძე 1975].

**მოქმედებითი** გვარის ნასახელარ ზმნები იწარმოება:

- ა) **ა** + სახელის ფუძე + სუფიქსი (თემის ნიშანი): ა-თეთრ-ებ-ს...
- ბ) სახელის ფუძე + სუფიქსი (თემის ნიშანი): ვარ-ავ-ს...

**ვნებითი** გვარის ნასახელარ ზმნათა წარმოებაშიც ორი მოდელი დასტურდება:

ა) სუფიქსიანი: სახელის ფუძე + **დ** + თემის ნიშანი: თეთრ-დ-ებ-ა...

ბ) პრეფიქსიანი: ი-/ე- + სახელის ფუძე + სუფიქსი: ი-ბარ-ებ-ა, ე-ბარ-ებ-ა...

**საშუალი** გვარის ნასახელარ ზმნებიც ორი მოდელით იწარმოება:

ა) სახელის ფუძე + პირის ნიშანი: შურ-ს, წუხ-ს...

ბ) სახელის ფუძე + თემის ნიშნები: -ობ, -ებ, ავ: მთავრ-ობ-ს, იბიბინ-ებ-ს, ცურ-ავ-ს...

ნასახელარი ზმნის ფუძედ მოიაზრება ყოველგვარი სახელი და მასდარი; მარტივი ფუძეც, წარმოქმნილიც და კომპოზიტიც; მაზმნავებელ ელემენტებად გვევლინება: პირის ნიშნები, ზმნისწინები, მწკრივთა მაწარმოებლები, თემისა და ქცევის ნიშნები.

ნასახელარ ზმნათა ფუძის ფორმისა და ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმაწარმოების თავისებურებანია განხილული მონოგრაფიაში „ქართული ზმნა“ [გოგოლაშვილი 2010].

1. სახელის ფუძისაგან ზმნური ფორმების წარმოებაში სამი შემთხვევა განირჩევა: ა. სახელური ფუძე უცვლელადაა წარმოდგენილი ზმნურ ფორმებში: სახლ-ი – და-ა-სახლ-ებ-ს; ბ. სახელის ფუძისეული ხმოვანი ზმნურ ფორმებში გაუჩინარებულია: მართალ-ი – გა-ა-მართლ-ებ-ს; გ. სახელური ფუძე **ვ** ელემენტითაა გართულებული: ხე – გა-ა-ხე-ვ-ებ-ს. „კუმშვადი, კვეცადი და უკვეცელი სახელური ფუძეების შემთხვევაში ზმნურ ფორმებში ფუძეთა ასეთი არჩევანი... ზმნური და სახელური ფუძეების განმასხვავებელ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ“ [გოგოლაშვილი 2010: 347].

2. ერთპირიან ნასახელარ ზმნათა ფორმოზრევად დაპირისპირებული ჯგუფები შინაარსობრივ დაპირისპირებასაც ავლენენ, რაც შინაარსობრივ სხვაობას განაპირობებს სუბიექტსა და ზმნის ფუძით გადმოცემულ მნიშვნელობას შორის. ავტორი ამ შემთხვევას მხოლოდ ერთპირიანი ნასახელარი ზმნებისთვის დამახასიათებელ მოვლენად თვლის [გოგოლაშვილი 2010: 350].

ნასახელარ ზმნათა ჩამოყალიბების ისტორია სიღრმისეულადაა განხილული ნათელა მუზაშვილის სადისერტაციო ნაშრომში: „1. ნასახელარი ზმნებისათვის ამოსავალია აღწერითი წარმოება; კონვერსიული სისტემა ნასახელარი ზმნებისა უფრო გვიანდელ ეტაპზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, როცა სინთეზური წარმოებიდან ენა გადადის ორგანულ წარმოებაზე. პირველ ადგილზეა ზმნა და შემდგომ სახელადი ნაწილი: „იქმნენ ბრძენ“ – განბრძენდი. სინ. მრ., 167,20; „იქმნა ჭაბუკ“ – განჭაბუკნა. მამ. ცხ., 7,12; „იქმნა იგი ქრისტიანი“ – გაქრისტიანდა. მამ. ცხ., 178,17.

აღწერითი წარმოების შემდეგი ეტაპი ნასახელარ ზმნებში არის წყობის შეცვლა. სიტყვათა რიგის სახელური ნაწილი პირველ ადგილას დგება: „ამბორს უყო მას“. კიმ. I, 221,22; „პატიოსან ჰყო ცოდვაი იგი“ პას. კეს., 131,27“ [მუზაშვილი 1993: 31, 32].

2. ნასახელარ ზმნათა წარმოების პროცესში დიდი როლი ეკისრება მაზმნავებელ ელემენტებს. „სახელის გაზმნავებისას ზმნისწინს ერთ-ერთ მაზმნავებელ ელემენტად ირჩევს ენა... ზმნისწინი უფრო ადრინდელი წარმონაქმნია, ვიდრე ნასახელარი ზმნა“ [მუზაშვილი 1993: 44-46].

3. ნასახელარი ზმნების სემანტიკის კვლევისას ავტორი წარმოაჩენს განსხვავებულ სტრუქტურულ მოდელებს, აანალიზებს გვარის კატეგორიის მიხედვით წარმოქმნილ სახელებს და გვთავაზობს დასკვნებს: ა) „ნასახელარი ზმნების სემანტიკას ყოველთვის არ განსაზღვრავს მის ფუძეში წარმოდგენილი სახელების მნიშვნელობა; ბ) ნასახელარი ზმნების აგებულების მიხედვით დაჯგუფება არ ემთხვევა მნიშვნელობის მიხედვით დაჯგუფებას; გ) ძირეული სახელისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნების დაკარგვის ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს მნიშვნელობათა დამთხვევა ძირეული და მისგან ნაწარმოები სახელებისაგან წარმოქმნილ ზმნის ფორმებს შორის“ [მუზაშვილი 1981: 109].

## **2. ნასახელარი ზმნები ძველ ქართულ სასულიერო ლიტერატურაში**

ნასახელარ ზმნათა წარმოების მყარი მოდელი შემუშავდა კლასიკურ ეპოქაში და დამკვიდრდა როგორც მხატვრულსა და სამეცნიერო თხზულებებში, განსაკუთრებით საგალობლებში, საკითხავებსა და დაუჯდომლებში.

ნასახელარ ზმნებს უმთავრესად სუფიქსიანი ვნებითები მოეპოვებათ: კაც-ი – გან-კაც-**წ**-ა; ცხად-ი – გან-ცხად-**წ**-ა; ბნელ-ი – და-ბნელ-**დ**-ა... მაგრამ არის შემთხვევები, როცა ნასახელარი ზმნების ვნებითებს აწარმოებს არა სუფიქსი, არამედ **ო**-**ე** პრეფიქსებიც: დიდ-ი – ი-დიდ-**ებ**-ოდ-ა; კნინ-ი – და-ი-კნინ-**ებ**-ოდ-ი-ს... მეგობარ-ი – და-**ე**-მეგობარ-ა; მკვიდრ-ი – და-**ე**-მკვიდრ-ა... ჩვენი ენა ზმნის მოქნილობის ამ მძლავრ რესურსს მთელი ძალით იყენებს [იმნაიშვილი 1996: 316, 326].

I. საილუსტრაციო მასალა წარმოდგენილია: მცხეთური ბიბლიის, ქართული ოთხთავის სამი ხელნაწერისა და სინური მრავალთავის მიხედვით:

1. **-ბ:**
  1. *განიკითხნეს* იგინი ღმერთმან (ეკლ. 3,18).
  2. არავინ *მოიკსენნეს* საქმენი ჩუენნი (სიბრძ. 2,4).
  3. *გამოიცადნა* იგინი და ვითარცა ყოვლად ნაყოფი მსხვერპლთა, *შეიწყნარნა* იგინი (სიბრძ. 3,6).
  4. უკუეთუ *აღყვავნა* ვენახი, უკუეთუ *აღყუავნა* ბუტკოვნებად, უკუეთუ *აღყუავნეს* ბროწეულნი (ქება, 7,12).
  5. ხოლო იგინი *დუმნეს*, რამეთუ ურთიერთას მგზავრ იტყოდეს (მრკ. 9,34).
  6. რამეთუ მდიდარი იყო და ჩუენთვის *დაგლახაკნა* (სინ. მრ. 7,30).
2. **-დ:**
  1. და რადასათჳს უმეტეს *განვბრძნდი* მე (ეკლ. 2,15).
  2. *კელმწიფებდეს* ყოველსა ზედა ნაშრომსა ჩემსა (ეკლ. 2,19).
  3. პატივ-ეცით სიბრძნესა, რათა საუკუნოდ *ჰმეუფებდეთ* (სიბრძ. 6,12).
  4. და ვითარცა *შემწუხრდა*, მოუხდეს მოწაფენი მისნი (მთ. 14,15).
  5. მცირედ მორწმუნეო, რადთა *შეორგულდი?* (მთ. 14,31).
  6. იგი მარიამისი, კუალად *განვახლდი* (სინ. მრ. 16, 16).
3. **•- ვნებ. გვ.:**
  1. და ჰრქუა სარრა აბრაამის მიმართ: *ვიუსამართლოები* შენგან (მცხ. ბიბლ. 1.13,12).
  2. არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან *გამოისაჭურისნეს* (მთ. 19,12).
  3. ასპიტნიცა ნელითა სიტყვთა *დაიმწყემსებიან* (სინ. 214,15).
4. **•- ვნებ. გვ.:**
  1. აბრაამ *დაემკვდრა* ქუეყანასა ქანანისსა, და ლოთ *დაემკვდრა* ქალაქსა გარემო სოფლებთასა (მცხ. ბიბლ. 1.13,12).
  2. *ეტრფიალე* მროკვალსა მას და არა გმაგს ეგემლევანი საქმჳ (სინ. მრ. 201,4).
5. **•- სათ. ქვ. გარდ. ზმნისა:**

1. და *აღიკარვა* აბრაამ და მოვიდა, და *აიკარვა* მუხასა მამზრესა, რომელი იყო ქებრონს (მცხ. ბიბლ. 1.13,18).
  2. მოდით და *ვისიბრძნოთ* დამხოზად მათდა (გამოსვლ. 1,1).
  3. და *დაივანეთ* და *დაიბანენით* ფერჭნი და, განცისკრდეს რაი, წარვედით გზასა თქუენსა და თქუეს: არა, არამედ უბანთა ზედა *დავივანოთ* (მცხ. ბიბლ. 1,19,2).
  4. დმერთმან *იგულოს* თავისა თვისისა ცხოვარი მსხვერპლად (მცხ. ბიბლ. 1, 22,8).
6. -**ავ**: 1. სახელად კაპარ გამალ, რომელი შორ-**ავ**-ს ქალაქსა ოც მილიონით ოდენ (სინ. მრ. 64,34).

II. ნიკოლოზ გულაბერისძე, „გალობანი სვეტიცხოვლისანი“  
(XII ს.)

1. -**ნ**: რაჟამს მდინარესა მფრინველნი შავნი *განსპეტაკნებოდეს*, მაშინ მოესწავებოდა ნათლისღებაჲ საღმრთოთა (გვ. 69).
  2. -**ებ**: ...ესე სუეტი ისმაიტელთა უდაბნოს ოთხ ათეულ წელთა *ანაყოფებდა* (გვ. 68).
  3. -**ობ**: სამარადისოდ ბრწყინვალითა თუალთა *უჭვირობ* წმიდასა კუართსა (გვ. 75).
  4. -**ოი**: 1. გიხაროდეთ, რამეთუ წმიდასა ზედა და ნეტარსა *სცისკროი* კუართსა (გვ. 76).  
2. მგალობელთა მედღესასწაულეთა თვისთა განაშუენებს და *ცისკროის* (გვ. 75).  
3. კუართი *აღმოცისკროის* და შუქნი ნათლისანი მზეებერ აღმოჭვრობენ (გვ. 67).
- საკითხავნი სვეტიცხოველისანი
1. -**ნ**: ...და კერპნი იგი *დააწულილნა* და *დამუსრნა* (გვ. 11).
  2. **ო**- ვნებ. გვ.: ესრეთ *აკვრვებიან* და უფროისლა დამზადებელი მათი ესრეთ *იდიდების* და *აკურთხევის* მათ მიერ ჩუენგან (გვ. 7).
  3. -**ობ**: 1. არამედ უფროისად და უმეტესად *ვმოხარულიობდეთ-ცა* და *ვმოქალაქეობდეთ* (გვ. 9).  
2. ...ვინაიფთგან ფრიად *ლუაწლომრავლობენ* დღესასწაულო-

ბისათვის შვილთა თვსთა... (გვ. 5).

3. ...რომელთათვის ღმერთი *მოხარულობს* (გვ. 7).

III. კერამიონი – გალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი – თქმული ნეტარისა მამისა საზა სჯნგელოსისა (XIII ს. II ნახევრის ჰიმნოგრაფი)

1. **-ნ:** სიტყვთა უფლისაათა *დაემტკიცნეს* (გვ. 35).
2. **-დ:** 1. რომელი იგი *ამღლდა* დასავალით (გვ. 36).  
2. ნეფსით *დამდაბლდი* ჯორცთა ჩემთა მიმხუმელი (გვ. 37).
3. **-ებ:** საღმრთოთა მოქმედებითა აღსავსესა *ვკმსახურებ* (გვ. 37).
4. **-ობ:** თაყუანის გცემთ და შეგიტკობთ თუალითა (გვ. 37).

გაანალიზებული მაგალითების მიხედვით შეიძლება წარმოვადგინოთ ნასახელარ ზმნათა ფორმაწარმოების სურათი: I ბლოკში შეინიშნება **-ნ** და **-დ** სუფიქსით ნაწარმოები ზმნების სიმრავლე, იგი მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ნაწარმოებლიანებს; II ბლოკში კი **-ნ** სუფიქსით ნაწარმოები მხოლოდ ორი ზმნაა, ჭარბობს მოქმედებითი და საშუალი გვარის ნაწარმოებლიანი ნასახელარი ზმნები; III ბლოკში (შედარებით მცირე მოცულობის ტექსტია) თითო მაგალითია ყველა ტიპის წარმოებისა. გამოიკვეთა მთავარი ტენდენცია: **-ნ** და **-დ** სუფიქსიან ზმნათა სიმცირე.

#### IV. ნასახელარი ზმნები X-XIII საუკუნეთა ჰიმნოგრაფიულ თხზულებებში

ნასახელარ ზმნათა საინტერესო ფორმებია X-XIII საუკუნეებში მოღვაწე ჰიმნოგრაფთა თხზულებებში. როგორც წინა თავში ჩანს, ამ პერიოდში მეტი ასპარეზი ეთმობა აქტიურ ზმნებს, რომლებშიც უფრო შთამბეჭდავად წარმოჩნდება მოქმედი სუბიექტი.

მურმან ლებანიძის შედგენილი „შედეგებიდან“ დავიმოწმებ ჩვენი საკვლევით თემის შესაბამის რამდენიმე საილუსტრაციო ფორმას:

- ნ:** *აღ-ვ-ი-კრძალ-ნ-ე-თ* მარხვითა ხორცნი (იოანე მინჩხი).
- დ:** სიზმარნი ღამისანი *გან-ქარ-დ-ებ-იან* (იოანე მინჩხი).
- ი-ებ:** რამეთუ ზვერსა ცოდვისასა *ვ-ი-უნჯ-ებ-დ* მარადის (იოანე მინჩხი).

რომელთაგან **ო-დიდ-ებ-ი-ს** კაცთმოყვარე ღმერთი ჩვენი  
(იოანე ზოსიმე).

**ე-ებ:** ...და ნუმცა **ვ-ე-მსგავს-ებ-ი-თ** პირუტყვთა (იოანე მინჩხი).

**ა-ე:** **ა-ცურ-ი-ე** (= აცვრიე) ქრისტე ცვარი ცხოველ-მყოფელი  
(მიქელ მოდრეკილი).

ბოროტთ მიცემითა **ვ-ა-ცოდვ-ე**ერი ჩემი (დავით. აღმ.).

**ე-ე:** **ე-მსგავს-ე**შენს სამყაროთა ზეცისათა (ფილიპე).

**ო-ე:** მელიქნეთა ძმაცული სივერაგე **ვ-ო-თნ-ე** (დავით აღმ.).

**ა-ობ:** და ღმრთისა საზღვართა **ვ-ა-ბრალ-ობ-დ** (დავით. აღმ.).

**-ობ:** **გ-ტურფ-ობ-ს** მოხილვა, **ბროლ-ვარდ-ობ-ს** ყელი  
(ჩახრუხამე).

**-ო:** რასა ცუდად **ვ-მალ-ო-ი-თ** ოდეს ყველანი (ოპიზარი).

V. XI-XII საუკუნეთა სამწერლობო და თარგმნილ სასულიერო და ფილოსოფიურ ნაშრომთა ენაში ნასახელარი ზმნების ასპარეზი საგრძნობლად ფართოვდება. იოანე პეტრიწი იყო მამამთავარი იმ სალიტერატურო სკოლისა და მთარგმნელობითი მიმართულებისა, რომელიც გაემიჯნა ათონის სალიტერატურო სკოლას და რომელიც „პეტრიწონული სკოლის“ სახელწოდებითაა ცნობილი (კ. კეკელიძე).

ახალ ზმნებს იოანე პეტრიწი აწარმოებს ყოველგვარი სახელის, მასდარისა და „აგრეთვე უფორმო სიტყვათაგან“: ზმნიზედის, თანდებულის, ზმნისწინისაგან. ახალნაწარმოები ზმნის ფუძედ ხშირად აღებულია ნაწარმოები სიტყვები: წარმოქმნილი და თხზული სახელები“ [მელიქიშვილი 1975: 132]. საკითხის სრული სურათის წარმოსაჩენად გთავაზობთ საილუსტრაციო მასალას:

1. არს. სახ.: იგავი – გარდამოიგავება – გარდამოიგავებს;
2. ზედს. სახ.: კეთილი – გაკეთილება – გაკეთილდებიან;
3. რიცხვ. სახ.: ერთი – დაერთება – დაერთდებიან;
4. ნაცვალს.: რომელი – დარომელება – გარომელდების;
5. მიმღეობა: ამქუმელი – ამქუმელება – ეამქუმელების;
6. ზმნისართი: ზედა – დაზედაება – დაუზედავებს;
7. თანდებული: თანა – თანაები – ითანაებს;
8. ზმნისწინი: შთამო – შთამოება – იშთამოებს;
9. წარმოქმნილი სახ.: სულიერი – სულიერება – ასულიერებს;
10. კომპოზიტები: თიჯისმეკეცე – თიჯისმეკეცეობა –

თიჯისმეკეცეობს.



ზმნების წარმოება არაზმნურ ძირთაგან იოანე პეტრიწის ენის ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ნასახელარი ზმნების ასე ფართოდ გამოყენება... პირველად იოანე პეტრიწთან გვხვდება... ეს ზმნები თხრობას უფრო გამომხატველსა და დინამიკურს ხდის, აზრს სხარტად და ლაკონიურად გადმოსცემს... ნასახელარ ზმნათა განხილვისას კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რა საოცრად თავისუფლად ფლობს იოანე პეტრიწი ქართული ენის როგორც ლექსიკურს, ისე გრამატიკულ მასალას და როგორ ფაქიზად და დიდი ცოდნით იყენებს მას ახალ-ახალი სიტყვების შესაქმნელად [მელიქიშვილი 1975: 133-140].

გელათური კრებულის K 14-ში დაცული თარგმანის შესწავლის შედეგად ლელა ხოფერიამ გამოყო ნასახელარ ზმნათა ერთი ჯგუფი, რომელიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა და მათი გამოყენების არეალი ვრცელი და საინტერესოა. მაგ.: არსებით სახელთაგან ნაწარმოებია: განაკიდებს, იმატიანების; ზედსართავთაგან – განასრულებს, განაცრუებს, ისწრაფვის; მიმღეობისაგან – ემოძულეება; ზმნისართთა და თანდებულთაგან – ეწინაუკმოება, მიიმართების; წარმოქმნილ სახელთაგან – მეშჯულებობს, საქმიურობს; კომპოზიტთაგან – იღრმთისმეტყუელების, გულისმსიტყუელობს [ხოფერია 2006: 17].

ივანე გიგინეიშვილის საკანდიდატო დისერტაციაში „სიტყვაწარმოების თავისებურებანი ვეფხისტყაოსანში“ (1944 წ.) მიმოხილულია ყველა ტიპის ნაწარმოები სახელები. რუსთაველის სიტყვაწარმოება შედარებულია მისი ეპოქის ზოგ სხვა ძეგლთან (პეტრიწისა და მეხოტბეების ნაწარმოებებთან)... ნაშრომში წარმოდგენილი და გაანალიზებულია სახელებისაგან ნაწარმოები ზმნები: „აქ იშლება პოეტის სიტყვათმემოქმედება მეტისმეტად ფართოდ. აქ პოულობს იგი ფართო გასაქანს“... მაგრამ ეს ჯერ კიდევ ვერ ქმნის რუსთაველის ენის თავისებურებებს – ამ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით რუსთაველის პოემაში ინდივიდუალური არაფერია, ასეთი ზმნები პეტრიწისა და მეხოტბეების თხზულებებშიც გვხვდება.

რუსთაველის ინდივიდუალური თავისებურებანი ამ ფორმათა გამოყენებისას იჩენს თავს. პოეტი „ვირტუოზულად იყენებს მათ თავისი მიზნებისათვის“ (გვ. 201). მიზანი კი რუსთაველისა ერთია: იგი „ქმნის ლექსს, რომლის მსგავსი არ იცოდა და არც იცის ქართულმა პოეზიამ. ბუნებრივია, რომ მან ამ მიზნით გამოიყენა მისი

თანამედროვე სალიტერატურო ენის მთელი შესაძლებლობანი. თავისი ვირტუოზული ლექსისათვის რუსთაველი იყენებს ენაში არსებულ თუ შესაძლებელ ყველა ფორმას იმისდამიხედვით, თუ როგორია ლექსის მოთხოვნილება“ (გვ. 203).

ძალიან ხშირად ნაწარმოები სიტყვები სარიტმო სიტყვებს წარმოადგენს და რითმით არის შეპირობებული ნაწარმოები სიტყვის ფორმა. მაგ., რითმაა: სრულად, სულწასრულად, გაბასრულად. მათთან შერითმულია: რულად (1075); მაგრამ 461-ე სტროფში რითმაა: სასწაულად, ორხაულად, შენართაულად და ამასთან შერითმულია რაულად (გვ. 206). მაშასადამე, ახალი სიტყვების წარმოება „ვეფხისტყაოსანში“ ლექსთწყობისა და რითმის მოთხოვნილებით არის გამოწვეული (გვ. 203).

პოეტი ახალ სიტყვებს ძირითადად აწარმოებს ენაში არსებული ყალიბების მიხედვით, ზოგჯერ ნაწარმოები სიტყვა ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს (დესი, დასაღრეჯილო და სხვა), მაგრამ ეს ხელოვნურად ნაწარმოები სიტყვები არ გვცხამუშება იმიტომ, რომ ისინი რუსთაველის ბრწყინვალე ლექსში ნახმარია დიდი ოსტატობით და იმიტომაც, რომ „ლექსიკური ნეოლოგიზმები რუსთაველის ენაში მეტწილად მაინც სალაპარაკო ხალხური ენის განვითარების ტენდენციებს ასახავენ“ (გვ.207).

„ვეფხისტყაოსანში“ „ნაწარმოები სიტყვების დიდი სიუხვეა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკურ მარაგში ნაწარმოები სიტყვები ჭარბობს“ (გვ. 204) [ლექავა 1986: 70, 71]\*.

### **3. ნასახელარ ზმნათა როლი თანამედროვე ენობრივ სიტუაციაში**

„ენა მთელი კულტურის გამოვლინებაა“ – გ. ჰერდენის ცნობილი ფორმულირება, ბუნებრივია, გულისხმობს იმასაც, რომ საზოგადოებრივი კრიზისის დროს დგება ენის სიწმინდის პრობლემაც, ამიტომაცაა საჭირო ენის დაკნინების მიზეზთა ძიება... „როგორც ცნო-

---

\* სამწუხაროდ, ივ. გიგინეიშვილის დასახელებული ნაშრომი დღეს მიუწვდომელია; ამონარიდები წარმოვადგინეთ ლ. ლექავას დასახელებული წიგნიდან.

ბილია, სალიტერატურო ენის ნორმები ყოველთვის ირღვეოდა, მაგრამ ქვეყანაში მომხდარი ისტორიული კატაკლიზმების დროს ეს უფრო ხელშესახები ხდება ხოლმე, – სალიტერატურო ენაზე იკარგება კონტროლი და იგი მალევე იტბორება „ცუდმეტყველებით“ (ანა კალანდაძე).

ენა ისტორიის უტყუარი სარკეა – თანამედროვე ქართველის მეტყველების სტილია ამისი დასტური: „მიუხედავად ჩემი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობისა, ამ განყოფილებაში მოთავსებას არ ვექვემდებარებოდი“; „შენობა სამინისტროს „ჩამოარეცხეს“ და აუქციონზე გამოიტანეს. ასე აახიეს შენობა სამინისტროს“; „მალე თვალის კლინიკაც „მიასუხარეს“ და საკითხიც „დააკონსერვეს“...

პრესის ენა ძალიან დაუახლოვდა სასაუბრო მეტყველებას, „გაიგოსო ქუჩის ლექსიკით, სასაუბრო-ფამილიარული სიტყვა-გამოთქმებით, ვულგარიზმებით, ბარბარიზმებით, სკაბრეზული გამოთქმებით... ესაა, ერთი მხრივ, უცხო სიტყვათა და ტერმინთა განსაკუთრებული მოჭარბება და, მეორე მხრივ, ბარბარიზმების, ჟარგონიზმების, ვულგარიზმების, ე. წ. სლენგის დამკვიდრება“ [პაპიძე 2004: 126-128].

მაგალითები მასმედიის ენიდან:

1. არ დარჩენილა არც ერთი საინფორმაციო სააგენტო, ეს ფრაზა რომ არ **გაენიუსებიანთ**.
2. რატომ **გამოადეპორტეს** ინგლისელი ჟურნალისტი?
3. ამ შემთხვევას **ასკანდალურებენ** მასმედიის საშუალებანი.
4. გუშინდელს **ენოსტალგიაგება**.
5. პროპაგანდისტული მანქანა უხვად **ატირაყებდა** დესტაბილიზაციის საშიშროებებს.

მასმედიის ენაში ირეკლება სასაუბრო ენის ყველა მანკიერება: დაუდევრად წამოსროლილი ფრაზა, არაქართული სინტაქსური კონსტრუქციები, უცხოენოვანი ლექსიკა, პრიმიტიული მეტყველება გაბატონდა პრესასა და ტელევიზორში.

„ენაში არსებულ უცხოენოვან ტენდენციებს გამართლება ზოგჯერ მოეძებნება, იგი საერთაშორისო პრობლემა და ყველა დაპყრობილი თუ სხვაზე დამოკიდებული ქვეყნისათვის დამახასიათებელი, – სრულიად მიუღებელია ის ვითარება, რაც ახალი თაობის მეტყველებაში ხდება და რასაც (რაც ყველაზე სამწუხაროა) ასე ფართოდ გაულო კარი თანამედროვე მასმედიაში“ [პაპიძე 2005: 13].

ნასახელარი ზმნა მთელი წინადადების აზრს იტევს – მასში ექსპრესიულობითა და ზედმიწევნითი სიზუსტითაა წარმოჩენილი მთავარი ნიუანსი სათქმელისა, რაც ძირითადად გამოიკვეთა ჟარგონში:

გა-ა: გააიმასქნა – საქმე მოაკვარახჭინა, საქმე მოაგვარა უკანონო გზით (ლ. ბრეგაძე).

გააპუსტიკა – გააუბრალოვა, მნიშვნელოვანი რამ უმნიშვნელოდ აქცია (რუს. пустяк – უბრალო, უმნიშვნელო, წვრილმანი) (ლ. ბრეგაძე).

გაასროკინა – დააჭერინა, ციხეში ჩაასმევინა (ლ. ბრეგაძე).

ჩა-ი-ა: ჩაიზაკაჟნკა – ჩაიჯიბა, აიღო (ქრთამი)

ჩაიშმოტკა – მოდურ, ძვირფას ტანსაცმელში გამოიწყო.

-ებ: აბირჟავენბს, აგოიმებს, აბითურებს.

-ობ: ბაზრობს, ბლატაობს, გრიმიტობს, ჟოშკობს, ვდებატობთ, ჩალიჩმაისტერობს, ვდისკუსიობთ.

და-ე: და-მ-ი-იმეილ-ე, და-მ-ი-ზვანოკ-ე.

და-ა: და-ა-მაყუთ-ა, და-ა-მანდრაჟ-ა, და-ა-სპაკოინ-ა,  
და-უ-აზგონ-ა, და-მ-ი-პადიუზდ-ა, და-ა-ვერბოვკ-ა...  
და-ა-რეინჯერ-ა, და-ა-ლომბარდ-ა...

მი-ე: მი-ვ-აკაზანტიპ-ე.

მო-ა: მო-ტვინ-ა, მო-მოზგ-ა.

წა-ა: წა-ი-პაკაზუხ-ა, წა-ე-იაზვ-ა, წა-უ-სნიკერს-ა,  
წა-ე-ნასტირნ-ა.

„ჟარგონის სტატუსმა ქართულ სინამდვილეში სერიოზული ცვლილებები განიცადა – თუ ადრე იგი მხოლოდ გარკვეულ, ე. წ. ექსკლუზიურ სოციალურ ჯგუფებში გამოიყენებოდა, დღეს მისი გავრცელების არე ბევრად ფართოა. იგი თითქმის ნორმად იქცა მასმედიისა და თანამედროვე მწერლობის ენაში, ამიტომ არც ის არის გასაკვირი, რომ ეს არანორმატიული ლექსიკა, რომელიც ცოტა ხნის წინ ფართო საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო, ბევრისთვის ვულგარულადაც აღარ აღიქმება... წყარო უმეტესად რუსული ქურდული ჟარგონია. იმ ერთეულ შემთხვევებშიც კი, როცა სიტყვა არარუსული წარმოშობისაა, შემოსვლის გზა მაინც რუსული ჩანს [ომიამე 2007: 4-5].

ინგლისური ენის ბუმი საქართველოში განსაკუთრებით ნასახლარ ზმნებთან დაკავშირებით წარმოჩნდა:

**კომპიუტერული ლექსიკა:** დასერჩვა, დაგუგლვა, დააშიარე, დაალაიქე, დალინკე, დააშათდაუნე.

„საგანგაშო ფაქტია არა მხოლოდ და არა იმდენად ამგვარი ლექსიკის გამრავალფეროვნება-გააქტიურება, არამედ ქართულ სიტყვაწარმოებით ყალიბში მისი მოქცევა. ამით კიდევ უფრო სიცოცხლისუნარიანი ხდება იგი და აქტიურად მკვიდრდება ჩვენს ყოფაში“ [ჰაპიძე 2005: 11].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ვერც მეცნიერების დარგები: ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ვერც საზოგადოება „ველარ შემოიფარგლება აღნიშნული მოვლენის დაგმობით. უნდა გამოვლინდეს მისი წყაროები და მიზეზები... რათა ადამიანის ეთიკური განვითარების შემდგომ გზებზე დაფიქრების საშუალება გვქონდეს“ [ომიაძე 2009: 179].

ენის დაკნინების მიზეზებზე ევროპის დიდი სახელმწიფოებიც ფიქრობენ. 1978 წელს ბევარიის რადიოთი გადაიცა ერის ფრანცენის მოხსენება „ენობრივი კრიზისი ჩვენს დროში“. ავტორი ერთ-ერთ მიზეზად თვლის იმ ტენდენციას, რომ დიალექტის ადგილს ჟარგონი იკავებს. „ტექნიკური ჟარგონი, რომელსაც ყოველი კვალიფიციური მუშა ისევე უნდა ფლობდეს, როგორც სწავლული... შრომის მიხედვით დანაწილებულ საზოგადოებაში ჟარგონი იმავე როლს ასრულებს, რასაც დიალექტი – ტერიტორიულად დანაწილებულ საზოგადოებაში“. ამიტომ აღარ აქვს მნიშვნელობა, რომელ ენაზე მეტყველი ადამიანი იმუშავებს საამქროში, რამდენადაც ისინი სპეციფიკური ჟარგონით ახერხებენ კომუნიკაციას. საყოველთაო ენა ველარ უწევს კონკურენციას ჟარგონს. „ენა შუაზე იხლიჩება შინაარსისაგან დაცლილ ფრაზასა და ტექნიკურად გამოსადეგ, მაგრამ მნიშვნელობის მხრივ შეზღუდულ ჟარგონის ლექსიკას შორის. ორივე შემთხვევაში ადამიანი მოკლებულია გამოხატვის საკუთარ შესაძლებლობას“... „ენის სტატიკურობა, მისი მოუქნელობა და სიმშრალე საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემის მოუდრეკელობაზე მიგვანიშნებს. ღირებულებათა შკალის თავში მოქცეული სიტყვები რადაცის დაკარგვაზე მეტყველებენ. იმ რადაცის, რაც, მართალია, ჯერ-ჯერობით კი არსებობს, მაგრამ არყოფნის მიჯნაზეა. ამ **დაკარგულ „რადაცაში“ ადამიანი იფულისხმება**“.

ნასახელარ ზმნათა ისტორიისათვის თვალის გადევნებამ სა-  
მწუხარო დასკვნებისაკენ გვიბიძგა: კლასიკურ ეპოქაში სრულქმნი-  
ლი მოდელი, რომელიც **აღყვანა, ნათელცისკროვანებ, კელმწიფებ-  
დეს, ჰმეუფებდეთ, ვიუსამართლები, აღიკარვა, შორავს, განსპეტაკ-  
ნებოდეს, აღმოჭვირობენ, უჭვირობ, აღმოცისკროს, ვმოხარულობ-  
დეთ, გვიწყაროებენ, ღვაწლმრავლობენ, განქარდებიან, ვითნე,  
გტურფობს, ბროლ-ვარდობს** ფორმებითაა გამოვლენილი, დღეს  
ჟარგონულ მეტყველებასა და ფამილიარულ (ხშირად სალალობო)  
მეტყველებას მოარგეს ახალგაზრდებმა: დამიპადიეზდა, დამიბგო-  
ნა, გადმოპორტირდი, წაუსნიკერსეს დღეს მიაკაზანტიპაც მიუმ-  
ტეს... დასერჩე, დაალაიქე, დააშიარე, დალინკე და მისთ. ხომ დლი-  
თიდღე მრავლდება.

ენის სიწმინდის საკითხი მწვავედ დგას ქართულ მხატვრულ  
ლიტერატურაშიც და ახალთაობელთა მეტყველებაშიც. მეტყველე-  
ბის სქემატურობა, ლექსიკის სიღარიბე და უფერულობა, სტილურ  
ფორმათა აღრევა – ეს არის ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი ნაკლი,  
რომლის დაძლევა სასიცოცხლო ამოცანას წარმოადგენს დღევანდე-  
ლი ქართველისათვის.

## ლიტერატურა

**შანიძე 1981** – აკ. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში,  
თხზულებანი, II, თბილისი.

**თოფურია 1942** – ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმო-  
ება ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, №9, თბილისი.

**იმნაიშვილი 1996** – ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა  
ძველ ქართულში, I, მაინის ფრანკფურტი.

**ჯორბენაძე 1975** – ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმაწარმოე-  
ბისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი.

**გოგოლაშვილი 2010** – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა,  
თბილისი.

**მუზაშვილი 1993** – ნ. მუზაშვილი, ნასახელარი ზმნები ძველ  
ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

**მუზაშვილი 1981** – ნ. მუზაშვილი, ნასახელარი ზმნების ერთი ჯგუფის სემანტიკისათვის, ქესს, V, თბილისი.

**მელიქიშვილი 1975** – დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბილისი.

**ხოფერია 2006** – ლ. ხოფერია, სიტყვათწარმოება და ცალკეულ სიტყვათა გადმოტანის პრინციპები გელათურ კრებულ K 14-ში დაცულ თარგმანებში, გელათის მეცნ. აკად. ჟურნალი, 2006, 7, თბილისი.

**გიგინეიშვილი 1944** – ივ. გიგინეიშვილი, სიტყვაწარმოების თავისებურებანი ვეფხისტყაოსანში, სადისერტაციო შრომის თეზისები, თბილისი.

**ლეჟავა 1986** – ლ. ლეჟავა, ივანე გიგინეიშვილი, თბილისი.

**ბრეგაძე 2005** – ლ. ბრეგაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი, თბილისი.

**პაპიძე 2005** – ა. პაპიძე, ახალი თაობის ენობრივი პოზიცია, გელათის მეცნ. აკად. ჟურნალი, 2005, №11, თბილისი.

**ომიაძე 2007** – ს. ომიაძე, ჟარგონი თანამედროვე ქართულ დისკურსში, გელათის მეცნ. აკად. ჟურნალი, 2007, №6, თბილისი.

**ომიაძე 2009** – ს. ომიაძე, ქართული დისკურსის კულტუროლოგიური პარადიგმა, თბილისი.

### საილუსტრაციო წყაროები

**მცხეთური ხელნაწერი** (მოსეს ხუთწიგნეული), წ. I – გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, 1981, თბილისი.

**მცხეთური ხელნაწერი**, წ. IV – ეკლესიასტე, წიგნი სიბრძნისა, ქება ქებათა. გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, 1985, თბილისი.

**ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია** – სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წ.წ.), გამოსცა ავ. შანიძემ, 1945, თბილისი.

**სინური მრავალთავი 864 წლისა** – წინასიტყვაობა და გამოკვლევა ავ. შანიძისა, 1959, თბილისი.

**ჰიმნოგრაფია X-XIII საუკუნეებისა** – „შედევრები“, შეადგინა და გამოსცა მურმან ლეზანიძემ, 1994, თბილისი.

**ნიკოლოზ გულაბერისძე** – საკითხავი და გალობანი სვეტიცხოველისანი, გამოსაცემად მოამზადა ნესტან სულავამ, 2008, თბილისი.

## **Manana Tuskia**

### **History of Formation of Denominative Verbs and the Modern Language Situation**

#### S u m m a r y

A formation model of denominative models have been processed in the classical era. The verbs of this type are formed by means of passives with suffixes (-**n** and -**d**): **gankacna** „became a man“, **dabnelda** „got dark“... After wards the passives with prefixes (-**i** and -**e**) occurred: **ididebis** „is glorious“; **daemkvidra** „was established/settled/lodged“... Denominative verbs with the formants of active and middle voice were established, as well: **a-naqof-eb-da** „made smth fruitful/productive“...

A model of the denominative verbs have been established in the speech of modern youth in the form of a slang and jargon: **damipadiezda** = „smb met me in an entrance hall, beat and robbed me“, **gadmoportirdi** = „come and transfer your loan in our bank“, **damiabgona** = „smb outstripped me (by car)“, **gaaniuses** = „they informed smth to smb as the news“, **gamoadeportes** „they deported them“... It is an urgent task to overcome them.